

ბუნებრივი გაზის ნასყიდობის

ხელშეკრულება №

საიდენტიფიკაციო ნომერი: 3/1

მიმწოდებლის ჟურნალში ხელშეკრულების რეგისტრაციის თარიღი და ნომერი:

ქ. თბილისი

„---“-----“ 20 --- წ.

ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ ს/ს „ენერგოკავშირი“ მისი გენერალური დირექტორის ვაჟა მაისურაძის სახით, საიდ. ნომერი: 200095887, შემდგომში „მიმწოდებლად“ წოდებული და **მეორეს მხრივ** -----

(ორგანიზაციის დასახელება) (წარმომადგენელი)
საიდ.ნომერი-----, მისამართი-----, აბონენტის №-----
შემდგომში „მომხმარებელს“ წოდებული, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგ ზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ვადები.

წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მიმწოდებელი“ ვაღებულება მიაწოდოს ბუნებრივი გაზი „მომხმარებელს“ მისამართზე: -----, **20 ---წ** -- ----- და არასაყოფაცხოვრებო მოხმარებისათვის, ხოლო „მომხმარებელი“ ვაღებულება მიიღოს ბუნებრივი გაზი და გადაიხადოს საფასური ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მანამ, სანამ მხარეები არ გამოთქვამენ სურვილს მისი შეწყვეტის შესახებ.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. „მიმწოდებელი“ ვაღებულება:

- უზრუნველყოს ბუნებრივი გაზის უსაფრთხო, უწყვეტი, საიმედო და ხარისხიანი მიწოდება კანონმდებლობის, ლიცენზიის პირობებისა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვაღებულებების შესაბამისად.

- დაუყონებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება და შეუწყვიტოს გაზით მომარაგება „მომხმარებელს“, თუ:

- ა) საფრთხე ემუქრება პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან მის ქონებას;
- ბ) ირღვევა ტექნიკური რეგლამენტისა და უსაფრთხოების წესების მოთხოვნები;
- გ) დადგენილებით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

- მომხმარებელს საფასურის გადახდა მოსთხოვოს ყოველთვიური ანგარიშსწორების ქვითარში გადასახდელი თანხის სრულად ასახვისა და გადახდის ვადის განსაზღვრის შემდეგ.

2.2 „მომხმარებელს“ უფლება აქვს:

- „მომხმარებელს“ შეუწყვიტოს ბუნებრივი გაზით მომარაგება, თუ:
 - ა) „მომხმარებელი“ არ ასრულებს საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილ წესებს და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვაღებულებებს;
 - ბ) ადგილი აქვს დაუძლეველ ძალას, ფორს-მაჟორის მდგომარეობას, რომელთა თავიდან აცილება შეუძლებელია და რეალურად ხელს უშლის ბუნებრივი გაზით მომარაგებას;
 - გ) საჭიროა გეგმიური ან ავარიული სარემონტო სამუშაოების ჩატარება.
 - დ) „მომხმარებლის“ მიერ „მიმწოდებლის“ წარმომადგენლის მრიცხველთან არ დაშვების და ბუნებრივი გაზის საფასურის გადაუხდელობისას;
 - ე) „მომხმარებლის“ მიერ ირღვევა გამანაწილებელ ქსელზე მიერთების ტექნიკურ პირობაში მოცემული მოთხოვნები
- ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარების გამო ქსელიდან ჩახსნილ „მომხმარებელს“, ბუნებრივი გაზით მომარაგების აღდგენისათვის, მიყენებული ზიანის ანაზღაურების გარდა, მოსთხოვოს ქსელიდან ჩახსნისა და მიერთებისათვის გაწეული აუცილებელი და საჭიროების შემთხვევაში აღრიცხვის კვანძის რემონტის ან გამოცვლის ხარჯების გადახდაც.

ხელმოწერა

- უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის გამო ქსელიდან ჩახსნილი მომხმარებლისათვის გაზის მიწოდების აღდგენისათვის, „მიმწოდებელს“ უფლება აქვს მოითხოვოს ქსელიდან ჩახსნისა და მიერთებისათვის გაწეული ხარჯების გადახდა.
- „მიმწოდებელს“ უფლება აქვს იმ დრომდე არ გაუწიოს მომსახურება „მომხმარებელს“, სანამ არ იქნება დაფარული დავალიანება ან მიღწეული შეთანხმება დავალიანების სრულად გადახდაზე.

2.3. „მომხმარებელი“ ვალდებულია:

- შეისყიდოს და მოიხმაროს ბუნებრივი გაზი მხოლოდ არასაყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის;
- დროულად გადაიხადოს მოხმარებული ბუნებრივი გაზის საფასური;
- დაიცვას გაზის მეურნეობაში მოქმედი უსაფრთხოების, ტექნიკური ექსპლუატაციის, საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების მოწყობის წესები და სტანდარტების მოთხოვნები;
- „მომხმარებელი“ ვალდებულია გააკეთოს განაცხადი მიმწოდებელთან ახალი აგრეგატის ჩართვაზე;
- გაზის მოხმარების, საკუთარი ინიციატივით შეწყვეტის შესახებ აცნობოს „მიმწოდებელს“ სათანადო რეაგირებისათვის ერთი დღით ადრე;
- დაუყონებლივ აცნობოს „მიმწოდებელს“ ხარჯთაღმრიცხველი ხელსაწყო ან მოწყობილობა-დანადგარების მწყობრიდან გამოსვლის თაობაზე;
- დღე-ღამის ნებისმიერ დროს შეუფერხებლად დაუშვას „მიმწოდებლის“ წარმომადგენელი, პირდაპირი დაამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდეგ, ბ/გაზის აღმრიცხველი ხელსაწყოების ან სხვა საკონტროლო-საზომი ხელსაწყოებისა და მოწყობილობა-დანადგარების შესამოწმებლად ან სამუშაოს შესასრულებლად.

2.4. „მომხმარებელს“ უფლება აქვს:

- მოსთხოვოს მიმწოდებელს ბუნებრივი გაზის უსაფრთხო, უწყვეტი, საიმედო და ხარისხიანი მიწოდება კანონმდებლობის, ლიცენზიის პირობების და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად.

3. ანგარიშსწორება

- 3.1. „მომხმარებელი“ მოხმარებულ ბუნებრივ გაზზე, ყოველ 1 (ერთ) კუბურ მეტრზე გადაიხდის 75 (სამოცდათხუთმეტი) თეთრს დღე-ს ჩათვლით. წინამდებარე ფასი შეიცვლება „მიმწოდებლისათვის“ „გამყიდველი“ კომპანიის მიერ ფასის ცვლილებების შესაბამისად ან/და კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. შეთანხმება ფასის შეცვლის შესახებ გაფორმდება ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებაზე შესაბამისი დამატების სახით.
- 3.2. „მომხმარებელი“ მოხმარებული ბუნებრივი გაზის ღირებულებას გადაიხდის არაუგვიანეს მიწოდების (საანგარიშო) თვის დამთავრებიდან მომდევნო თვის 7 (შვიდი) რიცხვისა.
- 3.3. თუ „მომხმარებელი“ გადააცილებს წინამდებარე ხელშეკრულების 3.2. მუხლით დადგენილ ვადას, მოხმარებულ ბუნებრივ გაზზე, ყოველ 1 (ერთი) კუბურ მეტრზე გადაიხდის 80 (ოთხმოცი) თეთრს დღე-ს ჩათვლით.

4. დავების განხილვის წესი

მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა სადაო საკითხი გადაწყდება მოლაპარაკების გზით. მოლაპარაკების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერ დავას (გარდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათ საქმეებისა, რომელსაც განიხილავს სასამართლო კანონმდებლობით დადგენილი წესით) მათ შორის დავას „მომხმარებლის“ მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის გადასახადის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გადაუხდელობასთან დაკავშირებით, განიხილავს სასამართლო ან კერძო არბიტრაჟი, რომელსაც ირჩევს მოსარჩელე მხარე, კერძო არბიტრაჟის მიერ დავის განხილვის შემთხვევაში, დავას განიხილავს ერთი არბიტრი, რომელსაც ნიშნავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი.

5. სხვა პირობები

- 5.1. „მომხმარებლის“ მიერ გაზის მოწყობილობების თვითნებურად მიერთების, მრიცხველის ბრჯენის დაზიანების, ციფრული მაჩვენებლის გაყალბების, ბუნებრივი გაზის დატაცების, მათ შორის მრიცხველის გვერდის ავლით ბუნებრივი გაზის არასანქცირებული მოხმარების შემთხვევაში, უკანონოდ მოხმარებული ბუნებრივი გაზის რაოდენობა დაანგარიშდება საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

ხელმოწერა:

5.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულია კისრულობენ, ურთიერთობა აწარმოონ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობითა და „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესებით“ განსაზღვრული პირობებით.

5.3. ყველა ის ურთიერთობა, რაც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი რჩება „მიმწოდებელთან“ ხოლო მეორე ეგზემპლარი გადაეცემა „მომხმარებელს“

6. მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები

„მიმწოდებელი“

ს/ს „ენერჯოკაფშირი“

იურ.მის. მუხიანის დას. I-მ/რ, კორპ-13

ფაქტ.მის. მუხიანის I-მ/რ, კორპ-5

ბანკის დას.საქართველოს ბანკი

ბანკის კოდი: BAGAGE22

ა/ა GE28BG000000121347500GEL

ს/კ 200095887

ტელ: 64-28-69

გენ. დირექტორი ვაჟა მასურაძე

„მომხმარებელი“

იურ. მის.-----

ფაქტ. მის.-----

ბანკის დას.

ბანკის კოდი:

ა/ა -----

ს/კ -----

ტელ: